

1
1964



ნ. ჯ. ლოლუასი



სპეციალისტების გამოყენებაში დიდი ნაკლოვანებებია. ბევრნი, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელსა თუ ტექნიკუმს რომ დაამთავრებენ, სპეციალობის მიხედვით არ მუშაობენ.
(ამხ. ნ. ს. სრუსჩოვის სიტყვიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე).

— თავმდაბალი კაცი ვარ, დიდ მეურნეობაში მექანიზატორობას ამ პატარა კასრის მექანიზაცია ვარჩიე!

№ 5 თბილისი მარტი 1964



გამოცემის 41-მ წილი, შანი 20 ლპ.



— ერთი ფეხით ვაგასწროთ, ბატონო, უფროსმა,
— საკვირველია, ეს კაცი ერთი ფეხით ყოველთვის როგორ მასწ-
რებს ორფეხა კაცს.

ვალს იყუთვნოს ის ნიშანი?

ავტობუსი „ორიანი“, საბურთალოს იმედი, გუშინ ტაქსით დავიჭირე, დელისამდე მივდევდი. შურდულივით რომ დაესო, ძლივს გადაარჩა მალაყებს. კარებს მოწყდა ხალხის ზვინი... და თვალებმა რა ნახეს: სახეები შემეფეთა — ფრჩხილებამდე შევტოკდი, უნებურად დავამყარე უკანხტომის რეკორდი. ალექსილებს ჩამოსვლაზე ჰქონდათ დიდი ცილობა, უღილობა, უღიმობა, თავქუდმოგლეჯილობა. ახალ მდღას შემურდება თმების გაწეწილობა. წუთით არვის უძებნია დაკარგული ზრდილობა. ხუთი წლის წინ ავტობუსში ვცნობდი ყველა დელისელს,

ახლა აგერ დედა-შვილმა ერთმანეთი ვერ იცნეს. საბურთალო გაიზარდა, მხრებით მთაც კი ვახია. ფიქსაციით კორბუსებში ფუტკარივით ხალხია. მერე რა უბნებია და მერე რა ქუჩებია! აქ რომ მანქანები დადის, მისთვის ფაჩუჩებია. ამ ტრანსპორტის მესვეურნო, თქვენში თუა რომელი, ბავშვობიდან ერთი ჰქონდეს ფესსაცმელის ნომერი. ავტობუსში ვერ ვეტყვით, დიდხანს არ გვაცდევინოთ, მეწაღეებს მიუყვანეთ, იქნებ გააწევიანოთ. თორემ, ხედავთ, მგზავრებს უფრთხის, დილამდე რომ ელიან, კისრისტებით გრაფიკს მისდევს, ვერსად დაუჭერია, ორიანებს აბრიალებს შუბლზე რომ აწერია. ვის ეკუთვნის ეს ნიშანი? კითხვა ვანა ძნელია?

მ. ბასილაივილი

ს უ მ რ ი ი

ძროსა უწყინარი ცხოველია, არც იკბინება, არც იღრინება და არც ზედმეტი ზმუილით გაწუხებს. თუ ასმევ და აჭმევ, რძესაც მოგცემს, ხორცსაც და ტყავსაც. ასეთივე უწყინარი არსებებია ღრუტუნა ღორი, ბლავილა ცხვარი და კიკინა თხაც.

პირუტყვი პირუტყვია, მაგრამ მაინც მჭერმეტყველურად მეტყველებს: მაჭამე და გაჭმევო.

ცოდვას ვერ ვიზამთ და ვიტყვი, რომ სამხრეთ ოსეთის მესაქონლეებმაც ყურად იღეს ეს ლაკონური სიტყვები და ერთხმად გადაწყვიტეს: ვაჭამოთ და ვჭამოთო.

ჩაყარეს სილოსი, დააბულულეს თივა, დაზინეს ჩალა, მოიმარაგეს შაქრის ჭარხალი და გული დაიარხინეს: მოვიდეს ზამთარი, კუდი თქვას ვასროლინებთო.

არ დააყოვნა ზამთარმაც, აბა ვნახოთ, რა ბიჭებიცა ხართო და მოიტანა ქარბუქი.

„იზუზუნე და იქროლე, შენ ქარო მსუსხავო“, თავი ქუდში გვაქვს და ვერას დაგვაკლებო.

იზუზუნა და იქროლა ქარმა მსუსხავმა, შეიჭრა საქონლის ზოგ-ზოგი გაურემონტებელი სადგომის ღრიჭოებში, ძვალ-რბილში დაუარა ძროხებს, უშობელებს, ხბოებს, ღორებს, ყური აუწვა საქონლის მომვლელებს, ფეხები დააზრო, ხელები გაუთოშა.

მოსაზიდი იყო თივა, ციოდა, ვერ მოზიდეს თივა, ვერ მოზიდეს შაქრის ჭარხალი და არ აღმოაჩნდათ კომბინირებული საკვები...

აზმუვლდნენ შიმშილისაგან ფერდებჩავარდნილი, აკანკალებული ძროხები...

— გაჩუმდით. ცოტა მოითმინეთ, გამოიდარებს და მაშინ გაჭმევთ, ჯერ ეს ნამჯა და ჩალა იკმარეთო, — დატუქსეს ისინი.

ძროხები მაინც ზმუოდნენ, ზმუოდნენ გაბმულად.

— თქვე ტიალნო, ნუთუ თვალები არ გაქვთ, შესეთ რა ლამაზად ბარდნის, იცოხნეთ და, სანამ გამოიდარებდეს, თავი შეიქციეთო.

ისევ ზმუოდნენ ძროხები.
— რა ვაჭამოთ, 300 ცენტნერი თქვენი საყვარელი სიმინდის სილოსი რომ ჩაყარეთ, ერთიანად დაგვილპა, — თავი იმართლეს თამარშენელებმა.

450 ცენტნერი ჭარხალი ღია ცის ქვეშ დაგვილპა და წვიმამ მიწაში აზილა, — აღიარეს ერდველებმა.

— 800 ცენტნერი სიმინდის სილოსი გაგვიფუჭდა და თქვენთან ჯერ-ჯერობით პირშავად ვართ, მაგრამ მოითმინეთ, ეს წელი როგორმე გავათრიოთ და გაისად ჩვენ ვიცით და ჩვენმა ვაჟაკობამაო, — აიღეს ვალდებულება ტბეთელებმა.

— ჩვენ მხოლოდ 50—60 ცენტნერი თივა დავალპეთ, და საყვედური არ გვეთქმისო, — ამაყად განაცხადეს არცველებმა.

ზუზუნებდა და ქროდა ცივი ქარი, მძვინვარებდა ზამთარი, ბარდნიდა, ბარდნიდა და კითხულობდა:

— აბა, სად არის ის ქვა, მე რომ კუდი თუნდა მასროლინოთო.
— შენმა თოვლმა დაფარაო, — იყო პასუხი.

ზმუოდნენ ძროხები, კამეჩები, ბლადნენ ცხვრები, გულისამაჩუყებლად ღრუტუნებდნენ ღორები, კიკინებდნენ თხები.

— გვასვით, გვაჭამეთო.
— ვეტექიმი მოგვიყვანეთო.

— ავტოსარწყულებელი აამუშავეთო.
— დამშეულებს და მოწყურებულებს ცეცხლი მაინც დაგვინთეთო.

— წუნწუნის ტრანსპორტიორი აამუშავეთ, თორემ საკუთარ ნეხვში ვისრჩობითო.

— ფენილში ორმოები რომ გაჩნდა, რაიმე ჩაგვიფინეთო, თორემ, სი-გამხდრეს ვინა ჩივის, თქვენი უყარათობის გამო ინვალიდები გავსდებიო.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დადგენილებით, 1964 წლის 9 მარტს მსოფლიოს ყველა პროგრესულ ქვეყანაში აღინიშნება დიდი უკრაინელი კომპარტის ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავი.



დიდი უკრაინელი

განახლებულა დედასამოცლო,
ეუხით ზღაპრული ჰმეყნის საღარი,
ჩემს უკრაინას ვჭირისუფლოგდი,
მისი მგოსანი, მისი მხატვარი.

გამოიციღია ყმოგა, წამება,
ვენთე, ღავიწვი, როგორც ლამკარი.
დიადი ჰმეყნის მთა-ბარს გავყურებ
თავისუფლების ძეგლად აღმდგარი.

«ვაჟკაცები»

იმ საღამოს ფოსტაში შევიარე, ძმას უნდა დავლაპარაკებოდი ფოტოში. მოგესვენებათ საქალაქთაშორისო დალაპარაკების ჩვეულება: დაკვეთას დაუყოვნებლივ მიიღებენ, ფულსაც დაუყოვნებლივ გამოგართმევენ, გამოძახებებს კი დააყოვნებენ. ამას თუ ისიც დაემატა, რომ სწორად უშედეგოდ მთაურდება ორთა ძახილი, ე. ი. ვერც შენ უსმენ და ვერც ის, ადვილი წარმოსადგენია, რა ენთუზიაზმით შევიდოდი ტელეფონის სამფლობელოში მაგრამ რას იზამ, ძმური სიყვარული ყოვლისშემძლეა. ვიჯექი და მოთმინებით ველოდი იმ წუთს, როცა სტაფილოსფრად შედგებოდი მოღარე ჩემს მუსიკალურ გვარს წამოიმღერებდა.

სალაროს წინ ორნი იდგნენ, იშვიათი გარეგნობის ახალგაზრდები და ხმადაბლა საუბრობდნენ. მართლაც მომხიბლავი ბიჭები იყვნენ.

— რა თვალ-წარბი, რა მხარ-ბეჭი, რა აღნაგობა!
— არ ვძრანავ იმ ქალიშვილებს, რომლებსაც ასეთ ვაჟკაცებსე ოცნება წვათ და დაგავთ.

ჩემს გვერდით მჯდომმა ხელჯოხიანმა მოსუცმა აღტაცება ვერ დაფარა და საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა:

— თქვენს გამზრდელს ვენაცვალე!...
ამ დროს მოსაცდელში სადგურის დიქტორის მსგავსმა ხმამ მოირბინა:

— მოწონილიქ, მეთრეში!...
ერთმა, იმ ორთაგან, № 2 ჯისურს მიაშურა და იქ მყოფთა მზერა თან გაიყოლა. ჯისურში ჯიქურ შეიჭრა, ყურმილს დასწვდა და...

— ალო, ალო!... ჰო, თამაზი ვარ, თამაზი!... რა უნდა მომხდარიყო, ფული მჭირდება სასწრაფოდ, ფული!... არ გაქვს?... ეს ჩემი საქმე არ არის, იშოვეთ და გამოიგზავნეთ!... ჩამოსვლა არ გაბედო, რა უნდა გამიკეთო, რომ ჩამოსვიდე, შენც რა, უმაღლესში არ მომავყო!... რა სამუშაო, ქალო, ხომ არ დავესიზმრა, რა დროს ჩემი მუშაობაა... კაი, გეყოფა წუწუნი, წადი და ფულზე იზრუნე, ორ დღეში ფული გამოგზავნე, გასაგებია?... რა და ფული, ფული, არ დააგვიანო, გესმის?... ალო, ალო!...

ჯისურიდან გამოსულს მოსაცდელში მყოფი ღიმილით შეხვდა:

— რა ამბავია სოფელში, მამაშენი ისევე ავადმყოფობს?...
— არც გამსხენებია!...
— კაი კვატია, ნუ გეშინია, კარგად იქნება!...

ხელჯოხიან მოსუცს სახეზე ცცხელი მოედო, „ვაჟკაცებს“ ზიზღით გახედა და ყველას გასაგონად წამოიძახა:

— შეირცხვეთ ნამუსი!...

პარაზოტი
3. არაგველი

ზოთა მარმარაზვილი



ერთი შეხვევა სასაქართველოში პრაქტიკულად

ცალკეული მუშაკები ამცირებენ სახნავი მიწების რაოდენობას და ამით ამცირებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვას.
(აბს. ნ. ხ. ხრუშჩოვის სიტყვიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე).

ნახ. ნ. მალაზონიანი



— ვინ შეკამა მიწა? თავმა კამა მიწა.

ნახ. ბ. ფირცხალავანი



თავისი ადგილი ნახა.



— ჭიგარი გაქვთ?
— არა, ჭიგარო.

რაც ჩემს მშვიდ მეგობარს შეეშინა, იქნება თქვენც გადაგხდეთ. დილით გვიან ადგა, საუზმის ნაცვლად, პირამიდონის აბი მიირთვა, „თბილი... სის“ მეთხვე გვერდზე მკედრებისა და განქორწინებულების სიას თვალთ გადაავლო და სამსახურში გაქანდა. იდგა ტრამვაის ბაქანზე და რაციონალურად იყენებდა ფიჭისათვის განკუთვნილ ოც წუთს, რომელიც სჭირდებოდა ტრამვაის სამსახურამდე. მაგრამ ვინ აცადა ფიჭი, ჯერ ვიღაცამ ვერღში მიარჭო იდაყვი, მერე მშობლიურ ბებურაზე დააბიჯეს ფეხი უბოდიშოდ. მერე ვიღაცამ სახელთ მოქანა და, ჯანმრთელობასთან ერთად, ბილეთიც მოიკითხა:

— თქვენი ბილეთი!
როდესაც ხელკავი გამოსდეს და ნაზად წაიყვანეს, წინააღმდეგობა თითქმის არ გაუწევია. მხოლოდ მილიციის უფროსთან გულმოდგინე ჩხრევის შემდეგ აღმოუჩინეს მარჯვენა ჯიბის მარცხენა კუთხეში მიკუჭული დაჭმუჭნილი ბილეთი.
— კაცს თავი მარტო იმისთვის არ აბია, რომ შლაპა ჩამოიფეცას ზედ! — უსაყვედურეს განყოფილებაში. სამსახურში, რა თქმა უნდა, დააგვიანდა. როგორც კი ჩამოკვიდა პალტო და კედლიდან ჩამოსხსნა საახგარისო, თანამშრომელმა ქალმა აღტაცებით გადაურჩულა — არჩიბალ ვასტანგოვიჩმა გიკითხა! ...არჩიბალ ვასტანგოვიჩმა მოიხსნა სათვალე, შუა თითით ცხვირის კენი დაიზილა და, მისკენ არც გაუხედნია, ისე კითხა:
— სად ბრძანდებოდით?
— მილიციაში, — ამოილულულა.
— ახია თქვენზე!
არჩიბალ ვასტანგოვიჩს საქმის ვითარება არ აინტერესებდა, იგი საოცრად ლაკონური იყო.

— დაიწყეთ მესამე ობიექტის ინვენტარიზაცია. დღის ბოლოსთვის ყველაფერი მზად იყოს. — მიბრძანდით!
შეუდგა უფროსი ბუღალტრის განკარგულების შესრულებას. მან იცოდა, რას წარმოადგენდა მესამე ობიექტი, ეს იყო საუწყებო დამწებულების ხუთი სართული, უამრავი კაბინეტის დივანი, მაგიდითა და სკამით. თითოეულზე ისხდნენ პასუხისმგებელი პირები. თითოეულისათვის უნდა გეთხოვა, თუ შეიძლება ერთი წამით თქვენი სკამი, მხოლოდ საინვენტარიზაციო ნომერს დაგხვდავ და... და იგი წინასწარ გრძობდა მორიდებულ პასუხს. — ამხანაგო, ხელს ნუ მიშლი, ვერ ხედავ, ვმუშაობ?

ილიაში საინვენტარიზაციო დავთარამორილი, იგი მთვრალივით დაბორილობდა სართულზე. ნაზად აკაკუნებდა კარებზე. სახელთი წმენდა დამტვერილი სკამების ფსკერზე ამოკრულ ნომრებს.
შესვენებაზე სევდიანი გამომეტყველებით ჩაცხონა ერთი ცივი კატელტი და უცებ გაიბადრა, გაასხენდა, რომ გულის ჯიბეში უდევს ორი ბილეთი, და დღეს საღამოს იგი და გულიკო, დიას, მისი გულიკო, ამ მომქანცველი სამუშაო დღის შემდეგ მოისმენენ ბოქმებს, ნაზი სიყვარულის გულისამაჩუყებელ მუსიკალურ ისტორიას.


დარჩენილი სამუშაო დღე ჩემმა მეგობარმა დიდი აღმავლობით ჩაატარა და დღის ბოლოსთვის ისე გათამამდა, რომ საერთო განყოფილების ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც ცხვირი დააცემინა, ზურგზეც დაარტყა ხელი და „მის მოსვლამდე არაფერი გეტყინოთო“ უთხრა.

იგი ბედნიერი მიუახლოვდა გარდერობს.
— მოქალაქე, როგორ შეიძლება ასეთი დაუდევრობა, ხომ არ გგონიათ მე მიგიკერებთ დასაკიდს პალტოზე, — დაქუხა მეგარდერობე ქალმა, და დამცინავად გადახედა გულიკოს. გულიკო გაფითრდა, ჩემი მეგობარი ჯერ გაყვითლდა, მერე გაწითლდა და, გალურჯება რომ დაიწყო, მესამე ზარი დარევს. მან ვალიდოლი ამოიღო და სირცხვილთან ერთად გადაყლაპა, გადაყლაპა ყველა შეურაცხყოფარუდოლფის არიის და კიდევ გულიკოს სათრით, რომლის ხელი ხელში ეკავა. მიუხედავად ამისა, სამყარო მშვენიერია, რადგან არსებობს გულიკო, გულიკო და კიდევ რუდოლფი თავისი არიით, რომელიც საცაა გამოვა...
და, ბოლოს, რუდოლფი გამოცხადდა. გამოცხადდა და, ღმერთო ჩემო, ჩემი მეგობარი ისევ გაფითრდა, ისევ გაყვითლდა, ისევ გალურჯდა და ისევ ვალიდოლს ეცა. იგი ხედავდა რუდოლფის დალილაგებულ ყურებსა და ძარღვებადებერი ყელს, რუდოლფი ბლოდა დასაკოლი მოზვერივით, ჩემს მეგობარს თვალთ დაუბნელდა. როდესაც ბუღალტრით კისერგასიებული რუდოლფი საბოლოოდ მიხიბნიწა და ზედა ნოტიდან ყიყიყოზე დაეშვა, ჩემი მეგობარი გულიკოს გვერდით აღარ იჯდა.

ღინ იცის დაბნეული რუდოლფი რამდენ ხანს განაგრძობდა ხელების საფსავს, რომ არ მომხდარიყო ფანტასტიკური ამბავი. კულისებიდან გამოვარდა გაყოფებული კაცი.
— ღმერთო ჩემო! — იკივლა გულიკომ, მან იცნო თავისი სატრფო. იგი მხეცივით ებღღენა მსუქან რუდოლფს და ყოველგვარი ხმაურისა და პანიკის გარეშე გალურჯებულ ყურზე უკბინა.
ჩამოუშვეს ფარდა. ადმინისტრატორმა გამოაცხადა, რომ წარმოდგენა შეწყდა ტექნიკური მიზეზების გამო.


საჩვენებელ სასამართლო პროცესზე თავის საბოლოო სიტყვაში ჩემმა მეგობარმა ხმის კანკალით მიმართა დარბაზს:
— აღამიანებო, პატრიე ეციო ერთმანეთს!
სასამართლომ იგი გაამართლა.

ერთი კვირის გადმოსულებიც არ ვიყავით თბილისში, რომ ჩემმა უფროსმა დამ (მამ, რას მოითმენდა) თურმე უკვე წერილი აფრინა ქუთაისიდან და, ბუნებრივია, ერთი სული ჰქონდა სახამა პასუსს მიიღებდა. პასუსი, კაცმა რომ თქვას, მალე მიიღო, მაგრამ ვაი ამ პასუსს. უკანვე დაბრუნდა მისივე წერილი წარწერით — ადრესატი არ არის.



— არ არისო? — შეკვივლა თურმე ჩემმა დამ — როგორ თუ არ არისო? მამ, სად არისო? ხომ არ ამოწყდენ? ხომ ვამბობდი, ცული სიზმრები მაქვსო, ესაო, ისაო... მთელი ქუჩა შეტყვარა თურმე და ასე წივილ-კივილით მეორე დღესვე უთენია დაგაგაღა თავზე.

დღეაღმემა უფროსი ქალიშვილი რომ ამ დღეში დინახა არც აცია, არც აცხელა, შეკვივლა დევილუკეთ, ნენაო? და ატყდა ერთი ამბავი, ვინ ვის ტიროდა, ვერ გაიგებდით. თავდაპირველად ვერც მე გაგიგე რამე, მერე გამეცინა, ელპიტე ბებიას სიკვდილის ამბავი გამახსენდა „ჭრიჭინიდან“. მხოლოდ მაშინ გაავრკვიე ყველაფერი, როცა ამ კონვერტს დავხედე. მასზე გარკვევით აწერია ჩვენი ახალი მისამართი: თბილისი, ლისის ქ. 30



ფოსტის რომელიღაც მოხელეს კი უბრალოდ გადაუსვია მისთვის ჯვარი. (ეს მართლაც უფრო ადვილია, ვინემ შუა ზამთარში ადრესატის ძებნა) მერე რუსულად მიუწერია — по Пекина 30 адресата нет.

აქადა, შემხედვით, ქუთაისელებო, რა რუსული ვიციო, და უკანვე გაუგზავნა. არა, ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ჩემს დას როგორ დაემართა ასეთი დაუკვირებლობა, გულგახეთქილი რომ ჩამოვარდა და გადაგვირია. ერთი გულდასმით ვერ დახედა კონვერტს, სად ლისის 30 და სად პეკინის 30. სხვა თუ არა, ნუთუ არ უნდა იცოდეს ამოღწეა ქალმა, რომ ჩვენ ფოსტას უყვარს ხოლმე სუფრობა?

P.S. ისე სხვათაშორის, ასე არაა თბილისის კავშირგაბმულობის 52-ე განყოფილების მუშაკებო? **გოგია წარბა**



ნიანგი

წარმოებული ბიზნისითიქა

...მეძღვე, რაც ჩემს მეგობარს საგზური გაუთავდა, თათხში მართო დაერჩი. არ დავყოფენ და მთავარ ექიმს თხოვნით მივმართე:

— თუ შეიძლება, ბატონო, თათხში ვინმე შემომისახლეთ.

მთავარმა ექიმმა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შემომხედა და შემდეგ მოკლედ მოჭრა:

— ბატონი ბრძანდებით, დღესვე.

მთავარ ექიმს ოქროს ხასიათი ჰქონდა, არასოდეს ეკამათებოდა დამსვენებლებს, არ ეკამათებოდა მაშინაც, როცა დამსვენებელი რაიმე უცნაურობას სჩადიოდა, ჩემი განცხადება კი სწორედ უცნაური იყო, რადგან დამსვენებელთა უმრავლესობა ცალკე თათხს მოითხოვდა.

იმავლე საღამოს ჩემს ოთახში ჩავსუკნილი და მხარბეჭიანი კაცი შემოვიდა თავისი ბარგი-ბარხანით. მას ჯერ კიდევ არაფერი ეთქვა, მაგრამ ოთახი რაღაც მხიარულმა ხმაურმა მოიცვა.

არაბი ისეთი ადამიანები, რომლის არსებობაც მათ გაცნობამდე იცოდნენ.

მას რაჟღერ ნიკოლაევიჩს ეძახდნენ, დაახლოებით ორმოცდაათ წელზე მეტისა იქნებოდა, მუშაობდა სახალხო მეურნეობის სამსახურში.

მუსაფიხით ისე გავერთეთ, რომ დაძინების დროს საკმაოდ გადავაცილეთ, ბოლოს ჩავაქრეთ სინათლე და ერთმანეთს „ძილი ნებისა“ ვუსურვეთ. ვიწვექი და ვფიქრობდი ჩემს მხიარულ მეზობელზე, რომელიც გულმოდინედ ცდილობდა, რაც შეიძლება, ისე მოწყობილიყო, რომ გემრიელად ეძინა.

უცებ გამეღვიძა. ფანჯრები ძაგაძებდნენ. ოთახში ძლიერი და ცვალებადი ხმა გაისმოდა ხან დაბალ და ხან მაღალ ტონებში, შემზარავი განწყობილება დამეფუჭა. როდესაც მთლიანად გამოეფხინა, მივხვდი, რომ ომერთმა უნიკალური საყვარელი მილით დაჯილდოებული მეზობელი გამომიგზავნა. თითქოსდა მას სადღაც დამალული ჰქონდა მიკროფონი სუპერგამაძლიერებლით ნახევარგამტარებზე. მართალია, დროდადრო პაუზებიც ჰქონდა და რაღაც იმედებიც იყო ხანგრძლივ ანტრაქტზე, მაგრამ არაფერი გეტყინოთ, რაც უფრო დიდი იყო პაუზა, მით უფრო ძლიერი იყო მორიგი გრვენივა. როდესაც ინათა, მე მთლიანად დაეკარგე დაძინების იმედი და ვდარბობდი კიდევ, როდესაც პაუზა გრძელდებოდა.

ლამის სიმფონიის შთაბეჭდილებით, დღე ბურანში გადატარე, კითხვებს არასწორად ვპასუხობდი, სასადილოს მაგიდაზე ვყვიროვავდი.

— რა დავემართა? — მკითხეს.

და მე მოვყვიე ყველაფერს. დასვენების ოთახს ცრემლები დასდინდა, როდესაც ჩემი აღსარება მოისმინა. შემდეგ დაიწყო მოტორები, ვინ, სად და როგორ მოხვდა მსგავსი სიტუაციაში, ანდა როგორ გამოდიოდნენ მდგომარეობიდან. ერთი მიმტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაში, უებარი წამალია სტვენა. სხვანი სიმღერას მირჩევდნენ, ზოგი — მამალივით ყვირის. მე მადლობა გადავუხადე ყველას და თან ადგილის გაცვლაც შევთავაზე, მაგრამ, რატომღაც, არავინ არ დამთანხმდა.

...ასლოდდებოდა დამე. — საბანში გაიგვიე, გავესაუბრე რაჟღერს და ჩავაქრე სინათლე. მე ხმის კანკალით წარმოთქვი „ძილი ნებისა“ და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს იყო ბრძანება „სტარტი“ მოტორბოლზე. მეზობელი მოიმართა, როგორც ახალი მარკის „ივი“. პირველად თითქოს საინტერესოც იყო, შემდეგ მომწყინდა. ბოლოს, აუტანელი გახდა და მე საბანი თავზე შემოვიხვიე, მაგრამ ამაოდ. ხელისგულები ყურებზე ავიფარე, ცოტა მეშველა: ხმაური შორიდან მესმოდა და მაძინებდა. მაგრამ ამ პოზაში წოლა დიდხანს ვერ შეძელი. მომაგონდა რჩევა-დარიგება, რომელიც დასვენების ოთახში მომცეს და დავესტვიინე. მეზობელი დადუმდა. მეც დადუმდი. „ცოტა არ იყოს, უხერხულია, — ვფიქრობდი მე, — ბარბაროსული წესით დავეუფრთხე ძილი ადამიანს“. სწორედ ამ დროს ისევ აგრიალდა რამდენიმე დოლი და ზურნა. ისევ დავესტვიინე და ისევ მიჩუმდა. ერთი საათი ასე გაგრძელდა, ბოლოს, სტვენამ აღარ გასჭრა, წამოვიწყე კრიმანჭული და ნაყოფი გამოი-

დო. ღამის დარჩენილი მონაკვეთი შემდეგნაირად გადატარე: ვიმღერებდი პატარას და ხუთი ვიძინებდი, კიდევ ვიმღერებდი, კიდევ ვიძინებდი, ბოლოს, ისე გავიწყვე, რომ ამას ავტომატურად ვაკეთებდი, ვმღეროდი ისე, რომ გაღვიძება არც კი მჭირდებოდა. ამით ცოტა არ იყოს საკმაოდ შევავინე, რაჟღერ ნიკოლაევიჩი. გამოირკვა, როდესაც მან გაიღვიძა, მე ვღრიალებდი სიმონა დოლიძის სიმღერას:

„წუსელი სიზმარში ვნახე ყელზე მეხვეოდა გველი...“

რაჟღერმა ალერსიანად დამარტყა ხელი მხარზე და მითხრა:

— შენ, გენაცვალე, ხომ არ გადირიე?

საუბრის შემდეგ საერთო ყურადღების ცენტრში მოვექცე: აინტერესებდათ როგორ გასჭრა მათმა რეცეპტმა, მე ყველაფერი გულახდილად მოთხრო. ყველა გამახარულდა, მე წავედი მთავარ ექიმთან და ვთხოვე:

— თუ შეიძლება, ცალკე ოთახში გადამიყვანეთ.

მთავარმა ექიმმა არ გამაწიბლა. დღე, როგორც იქნა, გავიდა, დამე ნეტარებით ვწვებოდი მარტო. ჩავაქრე სინათლე, დავხუტე თავი. სიჩუმე საიდანადაც ზვევიდან დამაწვა, თითქოსდა ფიზიკურად ვგრძნობდი, უხერხულად ვიწვექი. ხან მხარი გიცვალე, ხან ბალიში ავწვიე, არაფერი გამოვიდა, არა და არ მეძინებოდა. აშკარად რაღაც არ მყოფნიდა, რასაც მხოლოდ დილით მივხვდი, არ მყოფნიდა მხიარული და ხმაურიანი მეგობარი. მე სწრაფად მოვხანე მთავარი ექიმი და ვთხოვე საერთო ოთახში გადავეყვანე.

არ შექამათებია და დარჩენილი შევებულემა ნორმალურად დავისევე.

ი. ზარბიძე

ნახ. ა. პანდელაქიძის



— მოქალაქივ, გაზონზე რატომ ხარ?

— აკი წეროთ, ნებადართულიაო!

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ხაქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 28/II-1964 წ. კალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შეკვ. № 487. უფ. 04139. ტირაჟი 40.000


ყველა მშვიდობიან წლებთან შედარებით ინგლისის სამხედრო ბიუჯეტმა მიმდინარე წელს 2 მილიარდ გირვანქა სტერლინგს მიაღწია.



მიმემ გირვანქა.

აშშ სენატორი გოლდვოტერი და მისი თანხმობარე „ცოფიანები“ მოითხოვენ კუბის „საერთო“ სამხედრო საზღვაო ბლოკადას.

64-180



ცოფიანი თუთიყუში

ინგლისის მთავარი სარდლობა ემზადება სამხედრო ხასიათის ფართო აქციებისათვის, რომლებიც მიმართულია ახლახან განთავისუფლებული აღმოსავლეთ აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკების წინააღმდეგ.



გეგმერი ლომის მადა.

დასავლეთ გერმანიის მესვეურები ესპანეთის სისხლიან დიქტატორს ფრანკოს ჰპირდებიან დაეხმარონ მას ესპანეთის საერთო ბაზარში მიღების საქმეში.



სისხლიანი ჯალათი ბაზრის კარავთან.